ტესტი ისტორიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-35.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი ინფორმაციაა მართებული აქადის შესახებ?

ა) გაძლიერდა სარგონ I-ის დროს, რომელმაც გააერთიანა შუამდინარეთი;

ბ) ქალაქ-სახელმწიფოს დამაარსებელი იყო გილგამეში;

გ) დაიპყრო ასურეთის სამეფო ტიგლათფილესერ III-ის დროს, რომელმაც მისი დედაქალაქი დაანგრია;

დ) განადგურდა ჰამურაბის მეთაურობით შემოჭრილ ამორეველებთან ომისას.

(1) 2. რომელი აქემენიანი მმართველის გამარჯვებას აღწერს ბეჰისთუნის წარწერა?

ა) ასტიაგესის;

ბ) შაბურის;

გ) დარიოს I-ის;

დ) ქსერქსე I-ის.

(1) 3. რომელი ინფორმაციაა მართებული სალამინის ბრძოლის შესახებ?

ა) მცირერიცხოვანმა ბერძენმა ჰოპლიტებმა უკუაქციეს სპარსელი მეომრები;

ბ) ბერძენთა მსუბუქმა გემებმა მძლავრი დარტყმა მიაყენეს სპარსელთა გემებს და დაამარცხეს ისინი;

გ) სპარსულმა კავალერიამ ალყაში მოაქცია ბერძნები და გაანადგურა ისინი ვიწრო ხეობაში;

დ) ბერძნებმა ვერ მოიგერიეს მრავალრიცხოვანი სპარსული არმიის შეტევა და უკან დაიხიეს.

(1) **4. რა იყო ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების ერთ-ერთი შედეგი?**

ა) ჩამოყალიბდა სელევკიდების სამეფო ეგვიპტეში;

ბ) შეიქმნა დელოსის კავშირი;

გ) დასრულდა ელინისტური ხანა;

დ) განადგურდა აქემენიანთა სახელმწიფო.

(1) 5. რა სახელწოდებითაა ცნობილი ომები, რომელთა შედეგად რომი საზღვაო სახელმწიფოდ იქცა?

ა) გალური;

ბ) ლათინური;

გ) პუნიკური;

დ) მითრიდატული.

(1) 6. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა რომაული ლეგიონების მიერ ბრიტანეთის დატოვება V საუკუნის დასაწყისში?

ა) ქალაქ რომის დაცვის აუცილებლობამ;

ბ) პონტოს სამეფოსთან განცდილმა მარცხმა;

გ) ვიკინგების მუდმივმა თავდასხმებმა;

დ) იმპერიის ორ ნაწილად გაყოფამ.

(1) 7. ვინ იყო აეციუსი?

ა) კონსული, რომლის ბრძანებით შეიქმნა თორმეტი დაფის კანონი;

ბ) ხუროთმოძღვარი, რომლის ხელმძღვანელობით აიგო პანთეონი;

გ) იმპერატორი, რომელიც ტყვედ ჩავარდა ადრიანოპოლის ბრძოლაში;

დ) სარდალი, რომელიც კატალაუნის ველზე რომაულ ჯარს მეთაურობდა.

(1) **8. რომელი ინფორმაციაა მართებული ბიზანტიაში მომხდარი ნიკას აჯანყების შესახებ?**

ა) იმპერატორი კონსტანტინე VII გაიქცა, მაგრამ აჯანყებულებმა ის შეიპყრეს და ახლადარჩეულ იმპერატორს გადასცეს;

ბ) აჯანყებულებმა დედაქალაქი ალყაში მოაქციეს, რის გამოც შიმშილობა დაიწყო, მაგრამ იმპერატორმა ბარდა ფოკას დახმარებით ალყა გაარღვია;

გ) საიმპერატორო კარმა აჯანყებულებთან მოლაპარაკება გადაწყვიტა, მათი მეთაური - დაგისთე სასახლეში დაიბარა და უმაღლეს სამოხელეო თანამდებობაზე დანიშნა;

დ) აჯანყებულებმა ახალი იმპერატორი აკურთხეს, ხოლო იუსტინიანე დიდმა გაქცევა დააპირა, თუმცა დედოფლის რჩევით დედაქალაქში დარჩა და ტახტი შეინარჩუნა.

(1) 9. რა ეწოდებოდა VIII საუკუნეში არაბების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ ადმინისტრაციულ ერთეულს?

ა) გურჯისტანის ვილაიეთი;

ბ) გუგარქის საპიტიახშო;

გ) თბილისის საამირო;

დ) ქართლის სამარზპანო.

(1) **10. რომელი მსჯელობაა მართებული პიპინ მოკლეს შესახებ?**

ა) მადიარების შემოსევისას იძულებული იყო ტახტის შესანარჩუნებლად რომის პაპის უზენაესობა ეღიარებინა, თავად პაპები კი ამ აღიარებას შემდგომში აქტიურად იყენებდნენ იმპერატორებთან დაპირისპირებისას;

ბ) რომის პაპის მხარდაჭერა სჭირდებოდა, რათა მეფედ ეკურთხებინათ, თუმცა თავის მხრივ, რომის პაპსაც სჭირდებოდა პიპინი ლანგობარდებისგან თავის დასაცავად;

გ) დაამარცხა და იტალიიდან განდევნა ვანდალები. სანაცვლოდ, რომის პაპი იძულებული გახდა იგი რომში მეფედ ეკურთხებინა;

დ) ბიზანტიასთან დაპირისპირება განაპირობებდა რომის პაპთან კავშირს. ამიტომ ისინი მუდმივად მხარს უჭერდნენ ერთმანეთს და ერთი პერიოდი პაპს რეზიდენცია ავინიონშიც კი ჰქონდა გადატანილი.

(1) 11. რა უკავშირდება ნორმანთა ერთ-ერთ მეთაურს ერიკ წითურს?

ა) ფიორდებზე ერთიანი სამეფოს შექმნა;

ბ) სკანდინავიის გაქრისტიანება;

გ) კუნძულ გრენლანდიის აღმოჩენა;

დ) რუნების გამოყენების დაწყება.

(1) **12. სხვა მიზეზებთან ერთად, რა უშლიდა ხელს ოტო I-ის მიერ შექმნილი სახელმწიფოს ცენტრალიზაციას?**

ა) სენატის ანუ სახალხო კრების არსებობა;

ბ) ვილანების ანუ გლეხების აჯანყებები;

გ) სინდიკატების ანუ ხელოსანთა გაერთიანებების დამოუკიდებლობა;

დ) ჰერცოგების ანუ მთავრების გავლენა.

(1) **13. პაპ გრიგოლ VII-ის რა გადაწყვეტილებამ აიძულა იმპერატორი ჰაინრიხ IV მასთან შესახვედრად წასულიყო?**

ა) ქალაქების მხარდაჭერამ თვითმმართველობისათვის ბრძოლაში;

ბ) ვასალების იმპერატორისადმი მორჩილებისგან გათავისუფლებამ;

გ) გერმანელებისათვის სასულიერო თანამდებობების დაკავების აკრძალვამ;

დ) იმპერატორის მხარდამჭერი ფეოდალების ინკვიზიციისადმი გადაცემამ.

(1) **14. რომელი მსჯელობაა მართებული 1096 წელს დაწყებული ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ?**

ა) სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები სხვადასხვა გზით დაიძრნენ იერუსალიმისკენ. მათი გაერთიანება მხოლოდ დამასკოსთან ბრძოლაში მოხდა და ისიც დროებითი აღმოჩნდა;

ბ) ევროპიდან ოთხი სამხედრო შენაერთი დაიძრა კონსტანტინოპოლისკენ, სადაც მათ იმპერატორი შეხვდა. აქაც და შემდეგ ნიკეასთან ბრძოლისასაც გამოჩნდა გარკვეული წინააღმდეგობა ჯვაროსნებსა და ბიზანტიელებს შორის;

გ) დიდი სქიზმის გამო ევროპიდან დაძრულ რაინდებს კონსტანტინოპოლში შესვლის შეეშინდათ და საზღვაო გზა აირჩიეს. ლევანტის სანაპიროზე გადასხდნენ და იერუსალიმი ალყის შემდეგ აიღეს;

დ) პაპის მოწოდების შემდეგ რაინდები აღმოსავლეთისკენ დაიძრნენ. თუმცა მალე მათ შორის უთანხმოება დაიწყო და მხოლოდ გერმანიის იმპერატორის ჩარევამ გახადა შესაძლებელი ლაშქრობის გაგრძელება.

(1) **15. რომელი მსჯელობაა მართებული შუა საუკუნეებში გერბის მნიშვნელობის შესახებ?**

ა) წარმოადგენდა რაინდის ატრიბუტს, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა და საგვარეულო კუთვნილება იყო;

ბ) ასახავდა ვასალის კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს სენიორის წინაშე და აუცილებლად მტკიცდებოდა იმპერატორისა და პაპის მიერ;

გ) აუცილებელი იყო ყველა მონასტრისთვის, რათა გარკვეული ყოფილიყო, თუ ვის ექვემდებარებოდა სამონასტრო ძმობა;

დ) განმარტავდა ხელოსნის სპეციალიზაციას და მიუთითებდა ამა თუ იმ გილდიისადმი კუთვნილებას.

(1) **16. რომელი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებმა სთხოვეს დახმარება საქართველოს სამეფოს?**

ა) მეორე;

ბ) მესამე;

გ) მეოთხე;

დ) მეხუთე.

(1) **17. საქართველოს რომელ მეფეზე არის დაცული ინფორმაცია წიგნში, რომელიც მარკო პოლოს მოგზაურობაზე მოგვითხრობს?**

ა) ბაგრატ IV კურაპალატზე;

ბ) ალექსანდრე I დიდზე;

გ) დავით VII ულუზე;

დ) გიორგი V ბრწყინვალეზე.

(1) **18. რომელი მსჯელობაა მართებული მარტინ ლუთერის შესახებ?**

ა) გაილაშქრა ავინიონელი პაპების ძალაუფლების წინააღმდეგ, ამიტომ ერეტიკოსად შერაცხეს და სიკვდილით დასაჯეს;

ბ) საფრანგეთის მეფის მიერ გაჩაღებული რელიგიური დევნის გამო ქვეყანა დატოვა და შვეიცარიაში დამკვიდრდა;

გ) პაპსა და იმპერატორთან დაპირისპირების მიუხედავად, გერმანელი მთავრების ერთი ნაწილის სახით ძლიერი მფარველები გამოუჩნდნენ;

დ) კათოლიკური ეკლესიის წიაღში კონტრეფორმაციის პროცესი წამოიწყო და ახალი სასულიერო ორდენები დააარსა.

(1) 19. რომელი ევროპული სახელმწიფოს დამარცხების შემდეგ გაეხსნათ გზა ოსმალებს საღვთო რომის იმპერიისაკენ, რასაც მალევე ვენაზე მათი პირველი იერიში მოჰყვა?

ა) საფრანგეთის;

ბ) უნგრეთის;

გ) პოლონეთის;

დ) ჩეხეთის.

(1) **20. რომელი ინფორმაციაა მართებული კარლოს V ჰაბსბურგის შესახებ?**

ა) შემოიღო მემკვიდრეობის ახალი წესი, რათა საკუთარი ქალიშვილისათვის საიმპერატორო ტახტის გადაცემა უზრუნველეყო;

ბ) საფრანგეთთან ომში დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა საღვთო რომის იმპერიის დაშლას შეგუებოდა;

გ) კათოლიკეების მიმართ მკაცრი პოლიტიკით გამოირჩეოდა, რასაც რელიგიური ომის დაწყება მოჰყვა;

დ) მმართველობის მიწურულს თავისი სამფლობელოები ძმასა და შვილს შორის გაანაწილა.

(1) **21. რომელი მსჯელობაა მართებული საქართველოსთვის ამასიის ზავის შედეგების შესახებ?**

ა) პირველად დადასტურდა აღმოსავლეთ საქართველოზე რუსეთის პროტექტორატი, თუმცა მესხეთი კვლავ ირანელთა ხელში რჩებოდა;

ბ) პირობები მეტად მძიმე იყო, რადგან ოსმალეთმა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სამთავროები გააუქმა, მათ ნაცვლად კი ოსმალური საფაშოები დააარსა;

გ) რეალური გახდა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება ოსმალეთის ვასალობის სანაცვლოდ, რადგან სამივე ქართული სამეფო ამ იმპერიის გავლენის სფეროში მოექცა;

დ) საქართველოს ერთიანობის აღდგენის შესაძლებლობა გართულდა, რადგან ქართული სამეფო-სამთავროები ორ იმპერიას შორის გაყოფილი აღმოჩნდა.

(1) **22. რას ითვალისწინებდა ნანტის ედიქტი?**

ა) მეფის არჩევითობის წესის გაუქმებას;

ბ) სამეფო მიწებზე მცხოვრები ფრანგი გლეხების ყმობისგან გათავისუფლებას;

გ) საფრანგეთის ისტორიაში პირველად ბარონთა საბჭოს მოწვევას;

დ) ფრანგი პროტესტანტებისთვის მთელი რიგი უფლებების მინიჭებას.

(1) 23. ინგლისის რომელი დინასტიის წარმომადგენელი მეფე დასაჯეს სიკვდილით 1649 წელს?

ა) სტიუარტების;

ბ) ტიუდორების;

გ) უინძორების;

დ) პლანტაგენეტების.

(1) **24. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი ნიდერლანდელი რევოლუციონერების წარმატებულ ბრძოლას ესპანელთა წინააღმდეგ XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე?**

ა) ოსმალური ფლოტის მიერ ესპანელთა დამარცხებამ ლეპანტოს ბრძოლაში;

ბ) ინგლისელთა მიერ ესპანელთა „უძლეველი არმადის“ განადგურებამ;

გ) ესპანეთის ჩართვამ „შვიდწლიან ომში“ პრუსიის წინააღმდეგ;

დ) კატალონიაში დაწყებულმა ანტიკათოლიკურმა აჯანყებამ.

(1) **25. რომელი ფაქტია მართებული შვედეთის მეფის გუსტავ II ადოლფის შესახებ?**

ა) მოიგერია რუსების იერიში სტოკჰოლმზე;

ბ) დაატყვევა საღვთო რომის იმპერატორმა;

გ) დამარცხდა პოლტავის ბრძოლაში;

დ) დაიღუპა ოცდაათწლიან ომში.

(1) **26. რომელი ინფორმაციაა მართებული 1805 წლის ტრაფალგარის ბრძოლის შესახებ?**

ა) ნაპოლეონის ომებიდან ყველაზე მასშტაბური სამხედრო დაპირისპირებაა, რომელშიც გამარჯვების შემდეგ საფრანგეთის გავლენა ევროპაში გაიზარდა;

ბ) ინგლისის ფლოტმა საფრანგეთის ფლოტი დაამარცხა, რამაც ნაპოლეონი აიძულა ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა მეთოდი გამოეყენებინა;

გ) სამი იმპერატორის ბრძოლის სახელითაა ცნობილი, რადგან მასში ავსტრიის, საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორები მონაწილეობდნენ;

დ) საფრანგეთის გამარჯვებამ დაადასტურა მისი სამხედრო უპირატესობა, ევროპის დიდ სახელმწიფოებთან შედარებით, არმიის შეიარაღებისა და ორგანიზებულობის თვალსაზრისით.

(1) **27. ვინ იყო ტალეირანი?**

ა) ნაპოლეონის მთავრობის წევრი, რომელიც მოწინააღმდეგეთა მხარეს გადავიდა;

ბ) პირველი მინისტრი ლუი XVI-ის დროს;

გ) საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი, იაკობინელთა კლუბის წევრი;

დ) ფრანგი მთავარსარდალი ბურბონთა რესტავრაციის დროს.

(1) **28. ვინ გამოცხადდა გაერთიანებული გერმანიის იმპერატორად 1871 წელს?**

ა) პრუსიის მეფე ვილჰელმ I;

ბ) ბავარიის მეფე ფრიდრიხ I;

გ) საქსონიის მეფე ფერდინანდ I;

დ) ვიუტენბერგის მეფე ჰაინრიხ I.

(1) **29. რა მოვლენის შემდეგ ჩაება რუსეთის იმპერია პირველ მსოფლიო ომში?**

ა) მოკავშირე საფრანგეთზე გერმანიის თავდასხმის;

ბ) ავსტრია-უნგრეთის მიერ სერბეთისთვის ომის გამოცხადების;

გ) ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ჩაკეტვის;

დ) ოსმალეთის მიერ სარიყამიშის დაკავების.

(1) **30. რომელი ფაქტი *<u>არ არის</u>* მართებული რუსეთში მომხდარი ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენების შესახებ?**

ა) ძალაუფლება ხელში აიღეს ადგილობრივმა პოლიტიკურმა პარტიებმა;

ბ) მოიწვიეს საკანონმდებლო ორგანო ამიერკავკასიის სეიმი;

გ) შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა;

დ) ამიერკავკასიის კომისარიატმა აღიარა საბჭოთა ხელისუფლება.

(1) **31. რომელი ინფორმაციაა მართებული სომხეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთი შედეგის შესახებ?**

ა) ლორეს სადავო ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა;

ბ) დამარცხებულ სომხეთს კონტრიბუციის გადახდა დაეკისრა;

გ) ბრიტანეთის სამხედრო მისიის ჩარევით სომხეთმა ახალქალაქიდან ჯარი გაიყვანა;

დ) საქართველოს ხელისუფლებამ ახალციხის მაზრაზე კონტროლი დაკარგა.

(1) **32. რა მოვლენა უკავშირდება ქაქუცა ჩოლოყაშვილს?**

ა) სერვერ-ბეგ ათაბაგის თავდასხმის მოგერიება;

ბ) სახალხო გვარდიის ჩამოყალიბება;

გ) შეფიცულთა პარტიზანული რაზმის შექმნა;

დ) კოჯორთან წითელი არმიის დამარცხება.

(1) **33. რომელი ინფორმაციაა მართებული საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ?**

ა) მძიმე მრეწველობის განვითარების მიზნით ქვეყანაში ინდუსტრიალიზაცია დაიწყო;

ბ) კრიზისის დასაძლევად მთავრობამ მსხვილი საწარმოების სწრაფი პრივატიზაცია გადაწყვიტა;

გ) სურსათის დეფიციტის გამო სოფლებში კოლმეურნეობები დაიშლა;

დ) ხელისუფლება დათანხმდა ერთა ლიგის დახმარების ეკონომიკურ პროგრამას.

(1) **34. რომელი ფაქტია მართებული მუსოლინის მთავრობისა და რომის პაპის ურთიერთობის შესახებ?**

ა) რომის პაპმა მხარი დაუჭირა მონარქიის აღდგენას;

ბ) ლატერანის ხელშეკრულება გაუქმდა;

გ) იტალიამ ვატიკანის დამოუკიდებლობა ცნო;

დ) მთავრობამ კონკლავში იტალიელი კარდინალების მონაწილეობა აკრძალა.

(1) **35. რომელი ინფორმაციაა მართებული 1939 წლის სსრკ-გერმანიის თავდაუსხმელობის (მოლოტოვ-რიბენტროპის) პაქტის შესახებ?**

ა) ბესარაბია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა;

ბ) საბჭოთა კავშირმა პოლონეთი სრულად დაუთმო გერმანიას;

გ) მხარეებმა აღმოსავლეთ ევროპაში გავლენის სფეროები გაიყვეს;

დ) ტერიტორიული ინტერესების საზღვარი მდინარე დუნაი გახდა.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 36.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ

შემდეგ გვერდზე

(1) **36.1. მწვანე ფერით აღნიშნული სახელმწიფოს რომელი მმართველის დროს განხორციელებული ლაშქრობები არის ასახული რუკაზე?**

ა) ჩაღატას;

ბ) ჰულაგუს;

გ) შაჰ-ისმაილის;

დ) ჩინგიზ-ყაენის.

(1) **36.2. რუკის მიხედვით, რომელი ინფორმაციაა მართებული საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ?**

ა) მწვანე ფერით აღნიშნული სახელმწიფო საქართველოს სამეფოს ნაწილზე საკუთარ ძალაუფლებას ვერ ავრცელებდა;

ბ) საქართველოს სამეფოს ერთი ნაწილი სრულად დამოუკიდებელი იყო, თუმცა ქალაქი ქუთაისი და მისი მიდამოები მწვანე ფერით აღნიშნული სახელმწიფოს ჯარს ეკავა;

გ) მწვანე ფერით აღნიშნული სახელმწიფოს ჯართან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ საქართველოს სამეფომ არსებობა შეწყვიტა;

დ) საქართველოს სამეფოს ლაშქარმა აიღო ქალაქი თბილისი და მწვანე ფერით აღნიშნული სახელმწიფოს ჯარი ქვეყნიდან განდევნა.

(1) **36.3. რუკის მიხედვით, რომელი პოლიტიკური ერთეული დაიპყრო მწვანე ფერით აღნიშნული სახელმწიფოს ჯარმა?**

ა) ოქროს ურდო;

ბ) ხვარაზმის იმპერია;

გ) აბასიანთა სახალიფო;

დ) თეთრბატკნიანთა სახელმწიფო.

(1) **36.4. რუკის მიხედვით, რომელი ინფორმაციაა მართებული ნიკეის იმპერიის შესახებ?**

ა) აიღო ლათინთა იმპერიის დედაქალაქი;

ბ) დალაშქრა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო;

გ) შეიჭრა კილიკიის სამეფოში;

დ) ალყა შემოარტყა ქალაქ ალეპოს.

(1) **36.5. რუკის მიხედვით, რომელ ქალაქს *<u>არ აკონტროლებდნენ</u>* ქრისტიანები?**

ა) აკრა;

ბ) ანტიოქია;

გ) ტრიპოლი;

დ) ალექსანდრია.

(1) 36.6. რუკაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს მამლუქთა სასულთნოს სამხედრო ძლიერებას?

ა) ალამუთის ციხის დაკავება;

ბ) რუმის სასულთნოს დაპყრობა;

გ) წითელი ფერით აღნიშნული სახელმწიფოს დაპყრობა;

დ) მწვანე ფერით აღნიშნული სახელმწიფოს ჯარის დამარცხება.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 37.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

37.1 კითხვაზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი ან შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.

37.2 და 37.3 დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.

37.4 დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება 37.

1973 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვიეტნამში ომი შეწყვიტა.

კითხვები:

(1) **37.1.** დაასახელეთ ამ მოვლენის ერთი კონკრეტული მიზეზი.

(1) **37.2.** ვისთვის იყო ეს მოვლენა დადებითი შედეგის მომტანი, მონაწილე მხარეების გარდა? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **37.3.** ვისთვის იყო ეს მოვლენა უარყოფითი შედეგის მომტანი, ამერიკის შეერთებული შტატების გარდა? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **37.4.** დაასახელეთ ანალოგიური მოვლენა XX საუკუნის ცივი ომის პერიოდიდან. აუცილებლად მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასადასტურებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

1832 წლის შეთქმულება

თავიანთი წრეების სხდომებზე შეთქმულები მსჯელობდნენ სამშობლოში შექმნილი საერთო უკმაყოფილების გამომწვევ მიზეზებზე. ფართო განხილვის საგანი იყო საქართველოს დაქსაქსულ ძალთა გაერთიანების პრობლემა. მსჯელობდნენ იმ პერიოდზე, როცა საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ეს მათ ეროვნულ ტრაგედიად მიაჩნდათ.

ეროვნული ჩაგვრის მოსპობა იმ დროს მსოფლიოს მოწინავე ადამიანთა ყურადღების ცენტრში იდგა. შეთქმულთა დაინტერესება ფრანგი განმანათლებლებით იმითაც იყო, განპირობებული, რომ ეს უკანასკნელნი ეროვნულ საკითხს ახლებურად უყურებდნენ.

საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ შეთქმულებში ერთსულოვნება არ ყოფილა. მონარქიულ მმართველობაზე ფიქრი იპყრობდა შეთქმულთა ერთ ნაწილს. სხვები ქართული სეიმის შემოღების აზრს გამოთქვამდნენ. მათი შეხედულებით, საქართველოში უნდა შექმნილიყო ორპალატიანი სეიმი მეფით სათავეში. სეიმის მმართველობის იდეა აღებული იყო პოლონეთის ცხოვრებიდან. 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყებას ქართველი შეთქმულნი ბევრ რამეში ჰბაძავდნენ. სეიმის მმართვილობა უმეტესობას იმიტომ მოსწონდა, რომ მეფე ამ წესის დროს არჩევითი იყო, სამეფო ტახტი მემკვიდრეობით მამიდან შვილზე არ გადადიოდა.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

რესპუბლიკური მმართველობის შემოღების სურვილი შეთქმულთა შორის იმ დროს, რა თქმა უნდა, დიდი სიახლის მაუწყებელი იყო და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მაღალ საფეხურზე ყოფნაზე მეტყველებდა.

1831 წელს შეთქმულთა ერთი ჯგუფი ფიქრობდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნიკოლოზ პირველი პოლონეთს თავისუფლებას უწყალობებდა, ასეთი რამ საქართველოსთვისაც გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო. სექტემბერში პოლონელები დამარცხდნენ.

ჩეჩნეთი და დაღესტანი იმამ ყაზი-მოლას მეთაურობით ცარიზმის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ. თბილისიდან დიდძალი ჯარის გაყვანასთან დაკავშირებით შეთქმულებს კვლავ დაუდგათ ხელსაყრელი მომენტი აჯანყებისათვის.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

შეთქმულები გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოების დახმარებაზე. ისინი ფიქრობდნენ, რომ საფრანგეთისაგან ჯარსა და ფულს მიიღებდნენ. თურქეთ-სპარსეთის პოზიცია შეთქმულთათვის იმ მხრივ იყო გარკვეული, რომ ეს სახელმწიფოები კავკასიაში მეფის რუსეთის გაბატონებას ვერ ურიგდებოდნენ.

1832 წლის ნოემბერში შემუშავებული გეგმა ძველ გამოცდილებასა და ახალ ვითარებას ითვალისწინებდა. „პირველი ღამის განკარგულების“ წერა დაიწყო 10 ნოემბერს, ამის შემდეგ იგი ივსებოდა, ზუსტდებოდა და საბოლოოდ დასრულებული სახე მიიღო 1832 წლის 23 ნოემბერს. „განკარგულების“, ანუ აჯანყების გეგმის მიხედვით, პირველ რიგში გათვალისწინებული იყო ციხის აღება და თბილისსა თუ მის გარეუბანში

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

განლაგებული რუსთა ჯარების განიარაღება, რისთვისაც სპეციალურ შეიარაღებულ რაზმებს ამზადებდნენ. მათვე უნდა დაეკავებინათ სურსათით მომარაგების ბაზები და სხვა სტრატეგიული პუნქტები.

აჯანყების მოწყობის ვადა შეთქმულთ რამდენჯერმე ჩაეშალათ. საქმე გადაიდო უკვე 6 დეკემბრისთვის, მერე კი 20 დეკემბრისთვის. ამ თარიღებს უკავშირებდნენ ქართველ თავად-აზნაურთა ყრილობის მოწვევას, რომელიც ადგილობრივმა მთავრობამ გადადო 6 დეკემბრის ნაცვლად 20 დეკემბრისათვის.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ჯერ კიდევ 1832 წლის დეკემბრის დამდეგს ბორჩალოში უკვე ხმა გაისმა „შეთქმულთა კავშირის“ შესახებ ალექსანდრე ბატონიშვილთან. ეს შეთქმულებმა მაშინვე გაიგეს და ჩქარობდნენ აჯანყების დაწყებას, რისთვისაც თითქოს ყველაფერი მზად იყო.

9 დეკემბერს თავადმა იესე ფალავანდიშვილმა შეთქმულება გასცა და შეთქმულები შეიპყრეს.

(საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 4., თბილისი 1973 წელი)

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **38.1.** დოკუმენტის მიხედვით, საიდან გაჩნდა ორპალატიანი სეიმის იდეა შეთქმულთა შორის?

(1) **38.2.** დოკუმენტის მიხედვით, რა მიუთითებდა, რომ ქართულ საზოგადოებაში კარგად იყო განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება?

(1) **38.3.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა ექნებოდა პოლონელთა ბრძოლის წარმატებით დასრულებას საქართველოსთვის?

(1) **38.4.** დოკუმენტის მიხედვით, როდის გაჩნდა აჯანყების დაწყებისთვის შესაფერისი ვითარება ისევ, პოლონელების დამარცხების შემდეგ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.5.** დოკუმენტის მიხედვით, რა მიაჩნდათ შეთქმულებს ეროვნულ ტრაგედიად?

(1) **38.6.** დოკუმენტის მიხედვით, რა კონკრეტული დახმარების მიღების იმედი ჰქონდათ შეთქმულებს საზღვარგარეთიდან?

(2) **38.7.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა შეიძლება ყოფილიყო აჯანყების მომზადებისას სერიოზული პრობლემა, რომელსაც შეთქმულები განიხილავდნენ. ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რა იყო ამ პრობლემის მიზეზი?

(2) **38.8.** დოკუმენტის მიხედვით, ვისი პოლიტიკური ნააზრევით დაინტერესდნენ შეთქმულები და რა საკითხმა განაპირობა ეს?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **38.9.** დოკუმენტის მიხედვით, როგორი იყო მეზობელი სახელმწიფოების პოზიცია და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, შეიძლებოდა თუ არა შეთქმულებს მათი დახმარების იმედი ჰქონოდათ? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **38.10.** დოკუმენტის მიხედვით, რა ხმა გავრცელდა 1832 წლის ბოლოს საქართველოში და რა გავლენა იქონია ამან შეთქმულებზე?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე